ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 546

“22” ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ოქტომბრის №24.1692.1912 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქი თბილისი, გუდამაყრის შესახვევი N5-N5ა (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009)

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ვალია სიხარულიძე	21001013747	სართული 2, შენობა N1	30	01.12.07.005.009.01.504
2	ვალიდა შონია	39001034669	სართული 2, შენობა N1	67.47	01.12.07.005.009.01.503
3	მარინა აბშილავა	19001061815	სართული 2, შენობა N2	8.56	01.12.07.005.009.02.503
4	ნინო გობეჯიშვილი	01011031898	სართული 2, შენობა N1	54.25	01.12.07.005.009.01.501
5	ნათია ოხანაშვილი	24001020103	სართული 3, შენობა N1	61.57	01.12.07.005.009.01.507
6	სოფიო ბოჭორიშვილი	41001006651	სართული 2, შენობა N1	43.05	01.12.07.005.009.01.505